შ. პ .ს. « კოლხა - 07 »

ვაშლიჯვარის დასახ. IVბ კორპ. ბ. 28. ტელ: 599 02 50 65
email: colxa-07l_@mail.com

ტექნიკური დასკვნა

ქ. თბილისი

26.09.2017წ.

ქ. თბილისის, გერგეთის გასასვლელის N7ა–ში (საკადასტრო კოდი 01.15.07.006.081) მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობისას მიმდებარედ განთავსებული ტერიტორიების მდგრადობის შესახებ

შპს „კოლხა 07“ სპეციალისტების მიერ ვიზუალური დათვალიერებით შეისწავლა ზემოთ აღნიშნულ მისამართზე შენობებისა და ტერიტორიების მდგრადობის საკითხი. საპროექტო შენობის მშენებლობის შემთხვევაში. საპროექტო შენობა წარმოადგენს მრავალსართულიან–მრავალბინიან საცხოვრებელ სახლს.

მშენებლობისათვის გამოყოფილი ტერიტორია მდებარეობს მთაწმინდის მთაზე, ფუნიკულორის ასასვლელი ტრამვაის ქვედა სადგურის სამხრეთით. გერგეთის გასასვლელის N7–ში, აღმოსავლეთით დახრის მქონე ფერდზე.

სამშენებლო ტერიტორია ამჟამად თითქმის მთლიანად დაკავებულია ყოფილი რესტორანი „თბილისელის“ მსუბუქი ტიპის ხის შენობა ნაგებობით და ტერასებით, რომლებიც ნაკვეთზე განლაგებულია ხელოვნურად შექმნილი ტერასებზე და ისინი ექვემდებარებიან დემონტაჟს.

სამშენებლო უბანი ჩრდილოეთიდან ისაზღვრება კერძო საცხოვრებელი სახლებით და მათი ეზოებით, დასავლეთიდან და სამხრეთიდან – თავისუფალი ტერიტორიებით, აღმოსავლეთიდან გერგეთის გასასვლელით.

გეომორფოლოგიური თვალსაზრისით, სამშენებლო უბანი წარმოადგენს მამადავითის მთის, ძირითადად ჩრდილო–აღმოსავლეთისკენ ციცაბო დახრის (30^0 და მეტი) და ხელოვნურად დატერასებული ფერდის ნაწილს. ტერასული საფეხურები მოწყობილია დეკორატიული ყორე–ქვით ნაშენი კედლებით.

ტერიტორიის სამხრეთით, დასავლეთიდან აღმოსავლეთის მიმართულებით გამოკვეთილია ეროზიური ხევის ნიშნები, რომლის მარცხენა ბორტი მოიცავს სამშენებლო უბნის ნაწილსაც, რომელიც შევსებულია დელუვიურ–პროლუვიური და მათი მფარავი ტექნოგენური გრუნტით.

ხევის ფორმა მკვეთრად არის გამოხატული უბნის სამხრეთით, გერგეთის გასასვლელიდან ვიდრე მამადავითის კალთამდე, სადაც იგი ვიწროვდება და ერწყვის კალთას.

გერგეთის გასასვლელიდან აღმოსავლეთით ხევი შევსებულია და ამ ნაწილში იგი გამოხატული არ არის.

ტოპოსაფუძვლად გამოყენებულია დამკვეთის მიერ გადმოცემული 1:2000 მასშტაბის ტოპოგეგმა, სამშენებლო კონტურის ჩვენებით. ტოპოგეგმაზე დატანილია გამონამუშევრების განლაგება, მის მიხედვით შესრულდა გეგმურ–სიმაღლითი მიბმა და გეოლოგიური ჭრილებისთვის პროფილების აგება.

პნ 01,05–08–ის („სამშენებლო კლიმატოლოგია“) თანახმად, მთაწმინდის კლიმატური მონაცემები შედეგია:

– წყლის საშუალო ტემპერატურა +10,8^0 C;
– ტემპერატურის აბსოლუტური მაქსიმუმი +38^0 C;
– ტემპერატურის აბსოლუტური მინიმუმი –24^0 C;
– ნალექების რაოდენობა წელიწადში – 635მმ;
– ქარის უდიდესი სიჩქარე შესაძლებელი 20 წელიწადში ერთხელ – 29მ/წმ;
– ქარის წნევის ნორმატიული მნიშვნელობა 5 წელიწადში ერთხელ W_0=0,30კპა, 15 წელიწადში ერთხელ W_0=0,48კპა.

დასკვნა:

ქ. თბილისის მერიის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის ბრძანება N2184910 ნებართვით გათვალისწინებული საცხოვრებელი სახლის მშენებლობის პროექტის განხორციელება არ გამოიწვევს უარყოფით ზეგავლენას საპროექტო ტერიტორიის მომიჯნავედ განთავსებულ არსებულ შენობებს.

შ.პ.ს. „კოლხა 07“–ის ექსპერტი: */თ. ბაღათურია/*